ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 19

31 ივლისი, 2018 წელი
14 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ე.წ. სამხედრო ქალაქში მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო მოედნისთვის ილია აბულაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. **ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ე.წ. სამხედრო ქალაქში მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელის მინიჭების შესახებ**

კომისიის წევრებმა კომისიაში შემოსულ წერილებთან დაკავშირებით თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია მოისმინეს. საქმე ეხება ისნის რაიონში, ე. წ. სამხედრო ქალაქში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდებას, წერილს კი მოქალაქეთა ერობლივი განცხადების საფუძველზე ისნის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე გვიგზავნის.
კომისიის თავმჯდომარის სახელზე ასევე შემოსულია სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის ვლადიმერ იმნაძის წერილი, რომლითაც მებრძოლ პატრიოტთა კავშირის თავმჯდომარე ემზარ ქვარიანთან ერთად ითხოვს ლუი პასტერის ქუჩისთვის ან თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის უმცროსი სერჟანტის უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელის მინიჭებას.
როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, უშანგი (შმაგი) სოფრომაძე 2008 წელს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს ტყვედ ჩავარდა და დახვრეტილ იქნა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.
სხდომაზე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით იმსჯელეს. კომისიის წევრებმა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს ლუი პასტერის ქუჩისთვის სახელის შეცვლა, გამომდინარე მისი ბიოგრაფიიდან (ფრანგი მიკრობიოლოგი და ქიმიკოსი) და თბილისში ლუი პასტერის ქუჩის არსებობის საუკუნოვანი ისტორიიდან.
კომისიის წევრებმა სახელდებისთვის შეარჩიეს ე. წ. სამხედრო ქალაქში მდებარე უსახელო ქუჩა და მასთან არსებული სამი შესახვევი. კომისიის სხდომაზე კიდევ ერთხელ მსჯელობის და შემდგომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელი მიენიჭება.

უსახელო ქუჩა და მასთან არსებული სამი შესახვევი მდებარეობს გიორგი ანწუხელიძის ქუჩის მიმდებარედ.

2. **ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო მოედნისთვის ილია აბულაძის სახელის მინიჭების შესახებ**

თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ცენტრს (ადრე ინსტიტუტს) წელს დაარსებიდან 60 წელი უსრულდება. სხდომაზე საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო მოედნისთვის ილია აბულაძის სახელის მინიჭების მოთხოვნით კომისიაში შემოსულ წერილთან დაკავშირებით იმსჯელეს.
მარიკა დარჩიას ინფორმაციით, ყველასათვის ცნობილია, რომ ცენტრის დაარსება უკავშირდება გამოჩენილი მეცნიერის ილია აბულაძის სახელს. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, კომისიამ სულ ცოტა ხნის წინ მოახდინა ასევე საბურთალოს რაიონში მდებარე ილია აბულაძის სახელობის ქუჩის გაგრძელების ინიცირება.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი მასალები დადებითად გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და საჯარო განხილვის მიზნით საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

31 ივლისი , 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	ა. ლაშხი
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი